



საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტი

დეპარტამენტის მისია

საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტის მისიას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა სახელმწიფო პროფილაქტიკური პროგრამების ადგილებზე განხორციელების ორგანიზებით, მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრების და „NCDC ლაბ“ ქსელის მეშვეობით.



განვითარების ისტორია

1. 1996 წელი – ქვეყანაში შეიქმნა სრულიად ახალი და ინოვაციური სამსახური საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის სახით, რომელსაც საქართველოს ყველა რეგიონსა და მუნიციპალიტეტში ჰქონდა თავისი წარმომადგენლობა;
2. 2007 წელს სისტემის ოპტიმიზაციის მიზნით მოხდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის და ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრის ინტეგრაცია;
3. 2005-2012 წლებში, ბიოლოგიური საფრთხის შემცირების პროგრამის ფარგლებში, აშშ-ს მთავრობის ხელშეწყობით ამოქმედდა რეგიონული ლაბორატორიული ქსელი, რომელიც წარმოადგენს ბიოუსაფრთხოების მე-2 დონის მძლავრ ლაბორატორიულ ქსელს და შედგება 2 ზონალური და 7 საველე ლაბორატორიული ერთეულისაგან.



გამონახვები და სამომავლო გეგმები

- ✓ მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების ორგანიზაციული ოპტიმიზაცია, პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაჭრის ხელშეწყობა;
- ✓ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება, მათი განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ NCDC ლაბ-ქსელის კომერციალიზაციის გაუმჯობესება, პერსონალის კვალიფიკაციის და პროფესიონალიზმის დონის ამაღლების ხელშეწყობა;
- ✓ ხარისხის კონტროლისა და ბიოუსაფრთხოების მენეჯმენტის არსებული ინტელექტუალური რესურსების გამოყენებით, სხვა კომერციული ლაბორატორიების სწავლებების და განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართულობა, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სკრინინგ-პროგრამის განხორციელების კოორდინირება.

ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავების პროცესში მონაწილეობა, პროგრამული ღონისძიებების ადგილებზე განხორციელების ხელშეწყობა და მონიტორინგი;
2. გადამდები დაავადებების ეპიდემიკური განხორციელება და ეპიდემიკური მდგომარეობის მიზნებისა და ფაქტორების დადგენის ხელშეწყობა გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტთან და მუნიციპალურ ცენტრებთან თანამშრომლობით;
3. ეპიდსაწინააღმდეგო და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, განსაკუთრებით საშიში ინფექციების კერებში ეპიდემიოლოგიური, ენტომოლოგიური და ეპიდემიოლოგიური კვლევების ადგილებზე ჩატარების ორგანიზება. დკსჯეც რეგიონული წარმომადგენლობების მეშვეობით საზ.ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრებიდან ინფორმაციის მოპოვების ორგანიზება ანგარიშგებისათვის;
4. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, ლოგისტიკური უზრუნველყოფა და განხორციელების ზედამხედველობა (მონიტორინგი/შეფასება) შესაბამის დეპარტამენტებთან კოორდინაციით, ინფორმაციის მიწოდება დადგენილი წესით;
5. ცხოვრების ჯანსაღი წესის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების ორგანიზება და დანერგვა, განხორციელება რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე; მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგისა და ანალიზის პროცესების მონიტორინგი;
6. სამედიცინო სტატისტიკის წარმოების ხელშეწყობა, სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, წარმოების ხარისხის ანალიზი და სტატისტიკის დეპარტამენტისათვის მიწოდების ორგანიზება;
7. ლაბორატორიული საქმიანობა.



განხორციელებული საერთაშორისო პროექტები



- 2005-2015 წლები:** ბიოლოგიური საფრთხის შემცირების საერთაშორისო პროგრამა.
- 2009 წელი:** UNICEF-ის მხარდაჭერით ჩატარებული „საქართველოს ნაციონალური ნეტრიციოლოგიური კვლევები“ – GNNS 2009.
- 2010 წელი:** „საქართველოში ქრონიკული დაავადებების რისკ-ფაქტორების კვლევები“, WHO – STEPS Surveillance.
- 2010 წელი:** „ცხელებით მიმდინარე ტროპიკული დაავადებების ლაბორატორიული კვლევები“ – კოლაბორაციული პროექტი ეგვიპტე-კაიროს რეფერალურ ლაბორატორიასთან ერთობლივად.
- 2011 წელი:** ევრაზიის ერთიანი ლაბორატორიული ქსელი – შარდში იოდურის კვლევების ხარისხის კონტროლი, ყაზახეთის კვების აკადემიის პროგრამა „QUIKK“.
- 2012 წელი:** STC-ს მხარდაჭერით განხორციელებული პროგრამა: „ბიოუსაფრთხოების სასწავლო სემინარების გამოყენება დასავლეთ საქართველოს სამედიცინო სექტორში, ბიოუსაფრთხოების შესაფასებლად და მხარდასაჭერად“.
- 2013 წელი:** CRDF-ის მხარდაჭერით ზამთრის სკოლა/სემინარი, განსაკუთრებით საშიში ინფექციებთან დაკავშირებით. აწერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.
- 2014 წელი:** CRDF – „ზაფხულის სკოლა/სემინარი, განსაკუთრებით საშიში ინფექციებთან დაკავშირებით“, აწერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

მუნიციპალური
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ცენტრები და სოფლის
აგზაობითი საზოგადოებრივი
დეპარტამენტის სამსახურების
განხორციელებული ქსელის
შუთავსის რგოლზე
წარმოდგენა

